საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/01/2026

MES 7 26 0000047111

# გადაწყვეტილება

## პს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

### 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-$7^1$ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება.**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 09 ოქტომბრის №1321141 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 30 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის სხდომის №46590 ოქმის № 06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

**4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს ყველა შესაძლო მექანიზმი (საინფორმაციო შეხვედრები, შეტყობინებები) სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მნიშვნელობის და გამოყენების შესახებ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად;
- რეკომენდებულია, ადამიანური რესურსების მართვის, ხელმძღვანელობის შესაძლებლობებისა და ფინანსური მდგრადობის გაძლიერება, რადგან ეს წარმოადგენს ფართო სტრატეგიულ გამოწვევას, რომელიც გავლენას ახდენს პროგრამის საერთო სიცოცხლისუნარიანობაზე;
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კვლევითი საათების დოკუმენტაციის ფორმალიზება სამუშაო დატვირთვის დოლუმენტებში და პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ვინაიდან აღნიშნული ზომები ზრდის ორგანიზაციულ გამჭვირვალობას, აერთიანებს სწავლების, კვლევისა და განვითარების პასუხისმგებლობებს და სისტემურ დონეზე აძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს;
- რეკომენდებულია, პროფესიული განვითარებაზე თვალყურის დევნებისა და დაგეგმვის ერთიანი სისტემის შექმნა, რადგან ეს სტრუქტურული გაუმჯობესება მოითხოვს კოორდინირებულ სისტემებსა და პროცესებს;
- რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი ჩართულობისა და ხელმძღვანელობის შესაძლებლობების გაძლიერება;
- რეკომენდებულია, ცენტრალიზებული სისტემის შექმნა, რომელიც სისტემატურად გააკონტროლებდა პერსონალის მონაწილეობას კვლევაში, პროფესიულ განვითარებაში და სწავლების ინოვაციებში ყველა პროგრამაზე, რითაც შეიქმნება აკადემიური ზრდისა და ანგარიშვალდებულების თანმიმდევრული ჩარჩო;
- რეკომენდებულია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის კვლევითი ჩართულობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, რათა გაუმჯობესდეს კვლევითი კულტურა და უზრუნველყოფილი იყოს ხელმძღვანელობის შესაძლებლობების გრძელვადიანი მდგრადობა;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამაში მკაფიოდ აისახოს, თუ რა წვლილს შეიტანს იგი დარგის განვითარებაში კვლევითი და/ ან პრაქტიკული საქმიანობის მეშვეობით, ასევე,

გაძლიერდეს კვლევითი მეთოდების გამოყენებით ახალი პროდუქტების შექმნის უნარი ინტერდისციპლინურ გარემოში, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას დარგობრივი მახასიათებლის სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და სასურველია შეწყდეს ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების შესრულების პრაქტიკა ყველა სამაგისტრო პროგრამაზე. სტანდარტი 1-ში განსაზღვრული, ინდივიდუალურად ფორმულირებული მე-7 დონის სწავლის შედეგები საჭიროებს კომპლექსური პრაქტიკული და კვლევითი უნარების ინდივიდუალურ დადასტურებას; ჯგუფური ნაშრომები კი ინდივიდუალური ხელმძღვანელობისა და შეფასების სანდო განხორციელებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის;
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნების მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მცირე შიდა საგრანტო ან წახალისების მექანიზმი;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ლექტორების კვლევებში ჩართულობა და უზრუნველყოფილი იყოს, რომ სასწავლო პასუხისმგებლობა დაეკისროს პერსონალს, რომლის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სამაგისტრო დონის მოთხოვნებს. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს მოწვეული ლექტორების მონაწილეობა სამეცნიერო კვლევაში. მათი კვლევის შედეგების გამოქვეყნება ხელს შეუწყობს პროგრამის აკადემიურ ხილვადობას;
- რეკომენდებულია, წახალისდეს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რათა ჩაერთონ სამეცნიერო კვლევაში და გამოაქვეყნონ მიგნებები;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ განსაზღვროს მიზნობრივი საბიუჯეტო განაწილება კვლევისა და განვითარების, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და გარე გრანტების მოპოვების ინიციატივებისთვის. ამავდროულად, შეიქმნას გაუთვალისწინებელი შემთხვევების სარეზერვო ფონდი სტუდენტთა ჩარიცხვის რაოდენობრივ ცვლილებასთან გასამკლავებლად და პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და აკადემიური ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გადახედოს პოლიტიკას, რომლითაც ნებადართულია ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების შესრულება, ვინაიდან ჯგუფური ნაშრომები ართულებენ თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის და კომპეტენციების განვითარების შეფასებას, რაც მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, დოკუმენტაციის წარმოების პრაქტიკის გაუმჯობესებას და სასწავლო გეგმის დიზაინის გაძლიერებას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის და სტუდენტების ინდივიდუალური მიღწევების შეფასება და გაზომვა;
- რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა კურსის შედეგებისა და პროგრამის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აკადემიური პერსონალისა და დარგის ექსპერტების ჩართულობით განხორციელებული სისტემური მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით, რათა გამოვლენილი შეუსაბამობები გამოსწორდეს პროგრამის გაუმჯობესების პროცესის ფარგლებში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 30 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი/Management of Information Technology |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 936797, 02/10/2020 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0171, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქ. 77ა |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2025 წლის 30 დეკემბერი |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად ვადა 1 წელი, 2026 წლის 30 დეკემბერი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2032 წლის 30 დეკემბერი |